ადამიანის უფლებათა მდგომარეობა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზებზე

2019 წელი

ანგარიში მოამზადა ადამიანის უფლებათა ცენტრმა

ავტორი: ნინო ცაგარეიშვილი
რედაქტორი: ალეკო ცქიტიშვილი
თარგმანი: ნინო ტლაშაძე

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

· ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
· წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
· ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrightshouse.org
· სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

მისამართი: 0160 თბილისი, ა. გახოკიძის ქ. 11ა, III სართული
ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 245 45 33, (+995 32) 238 46 48
ფაქსი: (+995 32) 238 46 48 ელ-ფოსტა: hridc@hridc.org
ვებ-პორტალი: www.humanrights.ge, www.hridc.org

Norwegian
Helsinki Committee

ანგარიში მომზადდა ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის პოზიციას. შესაბამისად, იგი არ არის პასუხისმგებელი ანგარიშის შინაარსზე.

სარჩევი

ძირითადი მიგნებები....4

უკანონო ბორდერიზაცია სოფელ ჩორჩანაში....8

უკანონო ბორდერიზაციის გაგრძელება სოფელ ატოცში....11

გამშვები პუნქტების ჩაკეტვა და ახალგორში შექმნილი ჰუმანიტარული კრიზისი....13

უკანონო დაკავებები....14

ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის უკანონო დაკავება....17

ირაკლი კვარაცხელიას გარდაცვალება....18

საოკუპაციო ხაზთან მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწების რეგისტრაცია....19

გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები 20

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიება....21

რეკომენდაციები....23

ძირითადი მიგნებები

2019 წლის განმავლობაში გრძელდებოდა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლების მიერ ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევები საქართველოს რეგიონების - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საოკუპაციო/გამყოფ ხაზებზე. წლის განმავლობაში განგრძობადი ბორდერიზაციისა და საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ახალი ადგილების ე.წ. „სასაზღვრე“ ნიშნებით მონიშვნის, შემოღობვისა და მავთულხლართების აღმართვის შედეგად სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრებმა არაერთმა ადგილობრივმა მოსახლემ დაკარგა კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო მიწა, რომლის დამუშავების გზით მიღებული მოსავალი წარმოადგენდა მათ მთავარ საარსებო წყაროს. რამდენიმე შემთხვევაში, უკანონო ბორდერიზაციის შედეგად, მოსახლეობამ კუთვნილ მიწასთან ერთად დაკარგა საკუთარი სახლიც, რომელიც ახალი ე.წ. „სასაზღვრე“ ნიშნების აღმართვის შემდეგ გამყოფი ხაზის მეორე მხარეს აღმოჩნდა. უკანონო ბორდერიზაციამ შეზღუდა ასევე ადგილობრივი მოსახლეობის წვდომა გამყოფ ხაზზე არსებულ ბუნებრივ რესურსებზე. ბორდერიზაციის შედეგად ირღვევა საკუთრების, გადაადგილების თავისუფლების და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებები, რაც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციებით[1].

2019 წლის სექტემბერში დაიკეტა სამხრეთ ოსეთისა და დანარჩენი საქართველოს დამაკავშირებელი ორი გამშვები პუნქტი. მათგან ერთ-ერთის, კერძოდ - დაბა ახალგორისა და საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის დამაკავშირებელი გადასასვლელის დაკეტვის შედეგად, დაბა ახალგორში ჰუმანიტარული კრიზისი შეიქმნა. ახალგორში სიტუაცია დღემდე მძიმეა. მოსახლეობას შეზღუდული აქვს წვდომა სამედიცინო სერვისებზე, მედიკამენტებსა და სამედიცინო დახმარებაზე, იშვიათი გამონაკლისების გარდა. ისინი ვერ გადმოდიან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე სწავლისა და მუშაობის გასაგრძელებლად, პროდუქტის შესაძენად თუ სხვა მნიშვნელოვანი მიზნებით[2]. დე ფაქტო ადმინისტრაცია აცხადებს, რომ დაბა ახალგორის გამშვები პუნქტის დაკეტვას განაპირობებდა უსაფრთხოების მიზეზები. ამ მიზეზების განხილვისას დე ფაქტო ადმინისტრაციის მსჯელობა არის ზოგადი და იგი ვერ წარმოადგენს არგუმენტებს, თუ კონკრეტულად რა საფუძვლები განაპირობებს გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვას ახალგორის გამყოფ ხაზთან ინდივიდუალურ შემთხვევებში, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციებს, მათ შორის, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტს, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტების თანახმად, გადაადგილების თავისუფლებასთან დაკავშირებით, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვისას ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში უნდა იყოს წარმოდგენილი ნათელი სამართლებრივი არგუმენტები, რაც უნდა შეესაბამებოდეს უფლების შეზღუდვის აუცილებლობისა და პროპორციულობის მოთხოვნებს[3]. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვითაც, ასევე, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა აუცილებლობის და პროპორციულობის მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, იმისათვის, რომ შეზღუდვა ჩაითვალოს აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში, იგი უნდა ემსახურებოდეს მწვავე სოციალურ საჭიროებას, საფუძვლად ედოს რელევანტური და საკმარისი მიზეზები და დაცული იყოს პროპორციულობის პრინციპი[4].

[1] სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ გაეროს საერთაშორისო პაქტი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.

[2] აღნიშნული პრობლემები დეტალურად არის მიმოხილული ქვეთავში „გამშვები პუნქტების დაკეტვა და ახალგორში შექმნილი ჰუმანიტარული კრიზისი“.

[3] გვ. 4, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, კომენტარი N27, გადადგილების თავისუფლება, მუხლი მე-12.

[4] ჟანეკ ჟერარდსი, „როგორ გაუმჯობესდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აუცილებლობის ტესტი“, ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა და ნიუ იორკის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, 2013.

დე ფაქტო ადმინისტრაცია ახალგორის გამშვები პუნქტის დაკეტვას უკავშირებს გამყოფი ხაზის სხვა მონაკვეთში - ჩორჩანა-წნელისის მიდამოებში არსებულ დაძაბულობას, კერძოდ - საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე საპოლიციო პოსტის აგების ფაქტს და ამის შედეგად შექმნილ უთანხმოებას დე ფაქტო ადმინისტრაციასა და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. ახალგორის გამშვები პუნქტის დაკეტვისათვის სხვა არგუმენტი დე ფაქტო ადმინისტრაციას არ წარმოუდგენია. დე ფაქტო ადმინისტრაციის წარმომადგენლები უარს აცხადებენ ახალგორის გამშვები პუნქტის გახსნაზე, სანამ საქართველოს ხელისუფლება საპოლიციო პოსტს არ მოხსნის სოფელ ჩორჩანაში. სოფელი ჩორჩანა მდებარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტში. ახალგორის რაიონი კი გორის მუნიციპალიტეტს ესაზღვრება. ბუნდოვანია, თუ რა საფრთხეებს წარმოქმნიდა ახალგორის გამშვები პუნქტის ფუნქციონირება ჩორჩანა-წნელისის სიტუაციისათვის. შესაბამისად, ახალგორის გამშვები პუნქტის დაკეტვა და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა ვერ აკმაყოფილებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციებით გათვალისწინებულ „აუცილებლობის“ მოთხოვნას - მას არ უდევს საფუძვლად რელევანტური და საკმარისი მიზეზები და იგი არ ემსახურება მწვავე სოციალურ საჭიროებას.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციების თანახმად, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვას საფუძვლად უნდა ედოს კონკრეტული, ინდივიდუალიზებული უსაფრთხოების საჭიროებები[5]-[6], რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტების თანახმად, გადაადგილების თავისუფლებასთან დაკავშირებით, უფლებასა და შეზღუდვას შორის არის იგივე ურთიერთდამოკიდებულება, როგორც ნორმასა და გამონაკლისს შორის[7]. აღნიშნული პრინციპი გულისხმობს, რომ გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა უნდა გამოიყენებოდეს გამონაკლისის სახით, ინდივიდუალურ შემთხვევებში კონკრეტული საფუძვლებიდან გამომდინარე. ახალგორის გამშვები პუნქტის დაკეტვის შემთხვევაში, აღნიშნული ურთიერთდამოკიდებულება არის რივერსირებული, კერძოდ, გადაადგილების თავისუფლების აკრძალვა წარმოადგენს ნორმას, რომელიც ყველა პირის მიმართ ვრცელდება, მიუხედავად მნიშვნელოვანი სამედიცინო თუ სხვა ჰუმანიტარული საჭიროებებისა, ხოლო გადაადგილების თავისუფლების მინიჭებას ადგილი აქვს იშვიათი გამონაკლისის სახით[8]. მსგავსი მიდგომა ეწინააღმდეგება აღნიშნული უფლების არსს[9].

სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზზე გრძელდება ადამიანების უკანონო დაკავებები რუსეთის ფედერაციის სასაზღვრე ძალების წარმომადგენლების მხრიდან, მათ შორის, ისეთ ადგილებში, რომლითაც ადგილობრივი მოსახლეობა აქამდე შეზღუდვის გარეშე სარგებლობდა. უკანონო დაკავებებს აქვს თვითნებური ხასიათი, არ შეესაბამება სამართლებრივი განსაზღვრულობისა და განჭვრეტადობის პრინციპებს და არღვევს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრულ პიროვნების თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებას. წლის განმავლობაში დაფიქსირდა, ასევე, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ძალების წარმომადგენლების მიერ

[5] გვ. 4, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, კომენტარი N27, გადადგილების თავისუფლება, მუხლი მე-12.

[6] გვ. 40, Human Rights Watch, „არ უნდა თუ არ შეუძლია, ისრაელის შეზღუდვები გაზაში შესვლასა და გამოსვლაზე ადამიანის უფლებათა მუშაკებისათვის“: https://www.hrw.org/report/2017/04/02/unwilling-or-unable/israeli-restrictions-access-and-gaza-human-rights-workers

[7] გვ. 4, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, კომენტარი N27, გადადგილების თავისუფლება, მუხლი მე-13.

[8] 2 დეკემბერს სამხრეთ ოსეთის უსაფრთხოების დე ფაქტო საბჭომ გამოსცა N119 ბრძანება, რომლის მიხედვითაც, ახალგორში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებსაც არ აქვთ დე ფაქტო რეგიონის ან რუსული პასპორტები, გადაუდებელი ან მაღალტექნოლოგიური სამედიცინო დახმარების მისაღებად საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლის უფლება მიეცათ იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი მომსახურების მიღება არ არის შესაძლებელი ცხინვალში. თუმცა, კვლავ არის შემთხვევები, როდესაც მძიმე ავადმყოფებს არ ატარებენ გამშვებ პუნქტზე და არ აძლევენ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლის უფლებას სამედიცინო მომსახურების მისაღებად.

[9] გვ. 4, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, კომენტარი N27, გადადგილების თავისუფლება, მუხლი მე-12.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლის უკანონო დაკავების ფაქტი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე[10].

2019 წლის 12 მარტს, გალის რაიონში, რუსეთის სასაზღვრე ძალების წარმომადგენლების მხრიდან უკანონო დაკავების პირობებში სავარაუდოდ თავი მოიკლა საქართველოს მოქალაქემ, ირაკლი კვარაცხელიამ[11]. აფხაზეთის დე ფაქტო ორგანოების განცხადებით, ირაკლი კვარაცხელიამ ოკუპირებული გალის სოფელ ნაბაკევში, რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის (FSB) სასაზღვრე ქვედანაყოფში თავი ჩამოიხრჩო მას შემდეგ, რაც რუსეთის სასაზღვრე ძალების წარმომადგენლებმა იგი „საზღვრის უკანონო გადაკვეთის“ ბრალდებით დააკავეს. ირაკლი კვარაცხელიას ოჯახის წევრის განცხადებით, გარდაცვლილს აღენიშნებოდა მრავლობითი სილურჯეები, დაბეჟილობები და ნახეთქი ჭრილობა[12]. აფხაზეთის დე ფაქტო უშიშროების სამსახურის განცხადებით, ირაკლი კვარაცხელიას სიკვდილის გამომწვევი ფიზიკური ძალადობა არ ყოფილა, თუმცა დე ფაქტო ორგანოებს და რუსეთის ხელისუფლებას არ წარმოუდგენიათ განმარტებები მის სხეულზე აღნიშნულ სავარაუდო დაზიანებებთან დაკავშირებით[13]. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, როდესაც პირის გარდაცვალებას ადგილი აქვს დაკავების პირობებში, ხელისუფლების ორგანოებს ეკისრება მტკიცების ტვირთი, წარმოადგინონ სარწმუნო განმარტებები პირის სიკვდილთან დაკავშირებით[14]. აღნიშნული მტკიცების ტვირთი მოცემულ შემთხვევაში ეკისრება რუსეთის ფედერაციას, რომელიც ეფექტურ კონტროლს ახორციელებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებზე, შესაბამისად იგი ვალდებულია უზრუნველყოს ამ რეგიონებში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვა. ირაკლი კვარაცხელიას სიკვდილის გარემოებებთან დაკავშირებით სარწმუნო განმარტებები რუსეთის ფედერაციას დღემდე არ წარმოუდგენია, რაც წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციის მეორე მუხლთან. სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულება ასევე მოითხოვს დაკავებული პირის მიმართ პრევენციული ღონისძიებების გატარებას, როდესაც იგი იმყოფება თვითმკვლელობის რისკის ქვეშ, მისი ფსიქიკური მდგომარეობის სათანადო შეფასებასა და შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევას[15]. უცნობია, გატარდა თუ არა აღნიშნული მოქმედებები ირაკლი კვარაცხელიას მიმართ. სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულებიდან გამომდინარე კი, სახელმწიფო ვალდებულია ზედმიწევნით და ეფექტურად გამოიძიოს ის გარემოებები, რაც დაკავშირებულია დაკავების პირობებში პირის სიკვდილთან[16]. რუსეთის ფედერაციამ უნდა აწარმოოს სრულფასოვანი გამოძიება, ხომ არ ჰქონდა ადგილი ირაკლი კვარაცხელიას მიმართ დანაშაულს, რამ გამოიწვია მისი სავარაუდო თვითმკვლელობა და წარმოადგინოს დამაჯერებელი ახსნა-განმარტებები ამ საკითხებთან დაკავშირებით.

სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან დაკავშირებით, რუსეთის ფედერაციის მიმართ ვრცელდება ასევე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებული ვალდებულებები, რადგანაც აღნიშნული ტერიტორიები მის მიერ არის ოკუპირებული.

ჰაგის რეგულაციების 42-ე მუხლის თანახმად, „ტერიტორია მიიჩნევა ოკუპირებულად, თუ მასზე კონტროლი მოწინააღმდეგე სამხედრო ძალამ დაამყარა“[17]. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთმა სამხედრო სახის ხელშეკრულებები გააფორმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე

[10] https://eumm.eu/en/press_and_public_information/press_releases/36655/?fbclid=IwAR3EuzN64ZbcpN1niOfDbsrVqS1aWG6wroKwMKNhj-ji3NYihpyY3oiPb4s
[11] https://civil.ge/ka/archives/279289
[12] *იგივე*
[13] *იგივე*
[14] *აქუმი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ*
[15] რენოლდი საფრანგეთის წინააღმდეგ, https://hudoc.echr.coe.int/eng-press#{%22itemid%22:[%22003-2514149-2714164%22]}
[16] ფონსეკა მენდესი ესპანეთის წინააღმდეგ
[17] 1907 წლის ჰაგის რეგულაციები, 42-ე მუხლი.

ფაქტო ხელისუფლებებთან და ორივე რეგიონში განალაგა საკუთარი სამხედრო ბაზები. გარდა ამისა, 2014 წლიდან დე ფაქტო ხელისუფლებებთან დაიდო ახალი ხელშეკრულებები მეკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა „ერთიანი თავდაცვისა და უსაფრთხოების სივრცის შექმნა“, დე ფაქტო შეიარაღებული დაჯგუფებები შეუერთდა რუსეთის შეიარაღებულ ძალებს[18]. ასევე, რუსეთის ხელისუფლებისა და აფხაზეთისა და ცხინვალის დე ფაქტო მთავრობებს შორის 2009 წლის აპრილში ხელმოწერილი შეთანხმებების თანახმად, რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის სასაზღვრე ძალები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზებს აკონტროლებენ. რუსეთის ხელისუფლებას დამყარებული აქვს კონტროლი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე როგორც მნიშვნელოვანი სამხედრო წარმომადგენლობით, ასევე - ადგილობრივი დე-ფაქტო ადმინისტრაციებისათვის არსებითი ხასიათის მხარდაჭერის გაწევით და საარსებო რესურსების უზრუნველყოფით (მნიშვნელოვანი საბიუჯეტო დაფინანსებით, ადგილობრივი მოსახლეობისათვის რუსული პასპორტების დარიგებითა და შესაბამისი ბენეფიტების უზრუნველყოფით)[19]. რუსეთის სამხედრო ძალები საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან მისი ნების საწინააღმდეგოდ. აღნიშნული მიზეზების გათვალისწინებით, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონები რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებს წარმოადგენს.

ჟენევის 1949 კონვენციების I დამატებითი ოქმის თანახმად[20], თუ ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამოქალაქო მოსახლეობის ნაწილის ჰუმანიტარული საჭიროებები არის არაადეკვატურად უზრუნველყოფილი, საოკუპაციო ძალამ ყველა გზით ხელი უნდა შეუწყოს ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებას ადგილობრივი მოსახლეობისათვის, მათ შორის, ნება დართოს საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს, მოსახლეობას მიაწოდონ ჰუმანიტარული დახმარება და უზრუნველყოს მათი თავისუფალი გადაადგილება.

დაბა ახალგორზე წვდომა ამჟამად მხოლოდ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლებს აქვთ, რომელიც არის სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ რეგიონში მოქმედი ერთადერთი საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია. თუმცა, ორგანიზაციის მანდატი შეზღუდულია და იგი ვერ უზრუნველყოფს ახალგორის მოსახლეობის მრავალმხრივ ჰუმანიტარულ საჭიროებებს, რომელიც ამჟამად კრიტიკულ მდგომარეობაშია[21]. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ და რუსეთის ფედერაციამ ნება უნდა დართოს სხვა საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს, შევიდნენ ახალგორში, გამოიკვლიონ ადგილობრივი მოსახლეობის ჰუმანიტარული საჭიროებები და განახორციელონ შესაბამისი დახმარება.

[18] 2017 წლისათვის, აფხაზეთში რუსეთის შეიარაღებულ ძალებს ექვემდებარებოდა დაახლოებით 4.500 სამხედრო. 2017 წელს მსგავს შეთანხმებას მოეწერა ხელი რუსეთის ფედერაციასა და ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის, რომლის თანახმადაც, ცხინვალის რეგიონის შეიარაღებული დაჯგუფება შეუერთდა რუსეთის შეიარაღებულ ძალებს.

[19] გვ. 37, ადამიანის უფლებათა ცენტრი, „ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზებზე“:
http://hridc.org/admin/editor/uploads/files/pdf/hrcrep2018/Zone%20of%20Barbed%20Wires-Report-%20geo%202019.pdf

[20] მუხლი 59. ჟენევის 1949 კონვენციების I დამატებითი ოქმი.

[21] იხილეთ ქვეთავი - „გამშვები პუნქტების ჩაკეტვა და ახალგორში შექმნილი ჰუმანიტარული კრიზისი“.

უკანონო ბორდერიზაცია სოფელ ჩორჩანაში

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანაში დაახლოებით 60-მდე ადამიანი ცხოვრობს. მას ესაზღვრება სოფელი წნელისი, რომელიც 2008 წლის შემდეგ რუსეთის მიერ არის ოკუპირებული და მას სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ადმინისტრაცია აკონტროლებს[22]. ამ სოფლების მიმდებარე ტყეში მდებარეობს სასარგებლო წიაღისეული, ტალკისა და მარმარილოს საბადოები, რის გამოც იგი განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს[23].

ხაშურის მუნიციპალიტეტსა და მოსაზღვრე ოკუპირებულ ტერიტორიას მავთულხლართები არ ჰყოფს. ადგილობრივებისათვის ერთგვარ გამყოფს წარმოადგენდა მდინარე ფრონე[24]. მათთვის ცნობილი იყო, რომ დე ფაქტო ადმინისტრაციის მიერ კონტროლირებადი ტერიტორია მდინარის გაღმა, ჩრდილოეთით მდებარეობდა[25]. მდინარის სამხრეთით კი გადაადგილება უსაფრთხო იყო. თუმცა, 2019 წლის თებერვალში არსებული მდგომარეობა შეცვალა ამ ტერიტორიაზე რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ გაკეთებულმა ახალმა ნიშნებმა. კერძოდ, მათ ჩორჩანისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის კიდევ ერთი სოფლის, წაღვლის მიმდებარე ტყეში, სადაც ტალკისა და მარმარილოს საბადოებია, ყვითელი ფერის საღებავით ხეები მონიშნეს[26]. ამის შემდეგ, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა, დაკავების შიშით, ტყეში გასვლას ვეღარ ბედავს, მაშინ როცა, ისინი ოდითგანვე სარგებლობდნენ ამ ტყის რესურსებით - სოკოს კრეფდნენ და შეშას ამზადებდნენ[27].

სამხრეთ ოსეთის დე–ფაქტო პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, რუსლან თედეევმა ჯერ კიდევ 2018 წლის 21 ივნისს განაცხადა, რომ „ზნაურის, იგივე ყორნისის თემის სოფელ წნელისის მაცხოვრებლები მოითხოვენ საზღვრის კორექტირებას[28]“, რის გამოც, ოსური მხარის განცხადებით, „წნელისის მიმდებარედ ე.წ. საზღვრის მონიშვნა სხვაგვარად მოხდება“[29].

დე ფაქტო ძალების წარმომადგენლების მხრიდან ზემოაღნიშნულ მოქმედებებს გამოეხმაურა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ირაკლი ანთაძე, რომელმაც ხაზი გაუსვა რუსეთის მესაზღვრეების პასუხისმგებლობას შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების დასაცავად კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამდა[30].

ამის შემდეგ, 2019 წლის გაზაფხულზე, ხაშურის ბიუჯეტიდან ჩორჩანის ტყეში გზის მშენებლობისთვის თანხა გამოიყო. გზის გაყვანას, დაახლოებით, 5 თვე დასჭირდა და აგვისტოს ბოლოს დასრულდა. 2019 წლის 20-24 აგვისტოს ფარგლებში კი ჩორჩანაში, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, საქართველოს ხელისუფლებამ პოლიციის პოსტი ააგო[31]. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, ჩორჩანაში აგებული

---

[22] https://netgazeti.ge/news/389205/
[23] https://www.amerikiskhma.com/a/iprm-ergneti-georgia-south-osetia-meeting-chorchana/4780786.html
[24] https://www.amerikiskhma.com/a/iprm-ergneti-georgia-south-osetia-meeting-chorchana/4780786.html
[25] https://www.amerikiskhma.com/a/iprm-ergneti-georgia-south-osetia-meeting-chorchana/4780786.html
[26] https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A9%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A2%E1%83%A7%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/30144547.html
[27] http://bit.ly/37g4Gco
[28] https://www.amerikiskhma.com/a/iprm-ergneti-georgia-south-osetia-meeting-chorchana/4780786.html
[29] *იგივე*
[30] https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A9%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A2%E1%83%A7%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/30144547.html
[31] https://netgazeti.ge/news/391839/

საპოლიციო პოსტი სტანდარტულ საგუშაგოს წარმოადგენდა, რომლის დანიშნულება იყო ადგილზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა[32]. იმავე პერიოდში, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ძალებმა ბორდერიზაციის ახალი ნიშნები განათავსეს იმავე ტერიტორიაზე. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ინფორმაციით, ერთ-ერთი ნიშანი, სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის დროშა, განთავსდა ერთი კილომეტრით შიგნით საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე[33]. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადებით, 28 აგვისტოს, სოფელ ჩორჩანას სიახლოვეს, ოკუპირებულ ტერიტორიაზე რუსეთის საოკუპაციო ძალების სამხედრო ტექნიკის გადაადგილება შეინიშნებოდა[34]. კერძოდ, მეზობლად მდებარე ოკუპირებულ სოფელ წნელისში მძიმე ჯავშანტექნიკა დაფიქსირდა[35].

ქართული მხარის მიერ ჩორჩანაში პოლიციის საგუშაგოს აგებას ულტიმატუმით გამოეხმაურა სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება. 29 აგვისტოს, სამხრეთ ოსეთის პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში დე-ფაქტო პრეზიდენტის წარმომადგენლის მოადგილემ, იგორ კოჩიევმა განაცხადა, რომ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრების ფარგლებში „ოსურმა დელეგაციამ წამოაყენა პირობა, რომ ქართულმა მხარემ აიღოს საგუშაგო პარასკევის დილის 6 საათამდე. პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, რესპუბლიკის ხელისუფლება გამოიყენებს ყველა კანონიერ ზომას, სამხრეთ ოსეთის ხალხის და სახელმწიფო საზღვრის დასაცავად“[36]. ქართულმა მხარემ არ შეასრულა ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების მოთხოვნა და ქართული პოლიციის პოსტი არ აიღო. ამის შემდეგ ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებამ სოფელ ჩორჩანას მიმდებარე, ოკუპირებულ სოფელ წნელისში აღმართა საპოლიციო პოსტი. 2019 წლის სექტემბერში კი, ჩორჩანისა და წაღვლის სიახლოვეს, დე ფაქტო რესპუბლიკის ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებმა, ტყის მასივში ორი ახალი საგუშაგო აღმართეს[37].

24 ოქტომბერს, ჩორჩანა-წნელისის მიდამოებში სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ძალების წარმომადგენლებმა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე უკანონოდ დააკავეს ევროკავშირის სადამკვირვებლოს მისიის დამკვირვებელი[38]. ევროკავშირის დამკვირვებელი ცხელი ხაზის ამოქმედების შემდეგ გათავისუფლდა.

უკანონო ბორდერიზაციის გაგრძელება სოფელ გუგუტიანთკარში

სოფელი გუგუტიანთკარი გორის მუნიციპალიტეტში, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარეობს. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს სოფელმა მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა - დაიწვა სახლები და განადგურდა ბაღები. 2017 წელს სოფელში რუსეთის სასაზღვრე ძალების წარმომადგენლები გამოჩნდნენ და სოფელში მავთულხლართების გაბმა დაიწყეს. ამის შედეგად, ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრების, დიმიტრი გუგუტიშვილის ეზოს

[32] https://civil.ge/ka/archives/320255
[33] https://netgazeti.ge/news/391839/
[34] https://netgazeti.ge/news/388884/
[35] https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A9%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A2%E1%83%A7%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/30144547.html
[36] https://www.radiotavisupleba.ge/a/30136568.html
[37] https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A9%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/30158696.html
[38] https://eumm.eu/en/press_and_public_information/press_releases/36655/?fbclid=IwAR1hAHNP3TDhDa1Y1yP3PooM4eK9P7lvCljIAxa8G6GM0rW858M0PcNIkA

ნაწილი და საწყობი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოექცა[39]. 2017 წელს გუგუტიანთკარში რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული ,,ბორდერიზაციის"[40] შედეგად ადგილობრივებმა დაკარგეს წვდომა საძოვრებზე, სახნავ-სათეს მიწებზე, ხეხილის ბაღებზე, ტყის და წყლის რესურსებზე[41].

2019 წლის აგვისტოში სოფელ გუგუტიანთკარში კვლავ განახლდა უკანონო ბორდერიზაციის პროცესი. კერძოდ, რუსეთის ფედერაციის სასაზღვრე ძალების წარმომადგენლებმა სოფლის ნაწილში ღობე გაავლეს, რის შედეგად კიდევ უფრო ღრმად შემოიჭრნენ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. შედეგად, სოფელში მცხოვრები ორი ოჯახის სახლი და საკარმიდამო ნაკვეთი, რომელიც მათი მთავარი საარსებო წყარო იყო, ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა. ოჯახები იძულებულნი გახდნენ, საოკუპაციო ძალების მიერ განსაზღვრულ ვადაში, საკუთარი სახლები დაეშალათ და ნაწილები საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადაეტანათ[42].

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები 2019 წლის სექტემბერში იმყოფებოდნენ გუგუტიანთკარში, სადაც მოინახულეს ტერიტორია, უკანონოდ გავლებული ღობე და ღობის მიღმა მოქცეული დაშლილი სახლები.

[39] ttps://jamnews.net/%e1%83%9b%e1%83%90%e1%83%95%e1%83%97%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%ae%e1%83%9a%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%97%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98%e1%83%97-%e1%83%9d%e1%83%a0%e1%83%90%e1%83%93-%e1%83%92%e1%83%90%e1%83%a7/?lang=ka

[40] ბორდერიზაცია გულისხმობს რუსეთის ფედერაციის მიერ სასაზღვრო ნიშნების, ღობეებისა და მავთულხლართების ცალმხრივად დამონტაჟებას ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ, რაც მიზნად ისახავს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოს დანარჩენი ტერიტორიისგან გამოყოფას.

[41] გვ. 7, საერთაშორისო ამინისტია, "მავთულხლართების მიღმა - ბორდერიზაციის პროცესით გამოწვეული ადამიანის უფლებათა დარღვევები საქართველოში".

[42] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19939&lang=geo

(ფოტოებზე გამოსახულია რუსეთის ფედერაციის მიერ გუგუტიანთკარში აღმართული უკანონო ღობე და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქცეული სახლები, რომლებიც მესაკუთრე ოჯახებმა დადგენილ ვადაში დაშალეს და საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოიტანეს)

უკანონო ბორდერიზაციის გაგრძელება სოფელ ატოცში

ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცში, რომელიც სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზთან მდებარეობს, რუსეთის ფედერაციის სასაზღვრე ძალების წარმომადგენლების მიერ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სხვადასხვა პერიოდში ბორდერიზაციის სხვადასხვა ნიშნები განთავსდა. 2014 წელს სოფლის ნაწილში მავთულხლართები გაიბა, რის შედეგადაც სოფლის მოსახლეობას საკუთარ სასოფლო-სამეურნეო მიწაზე წვდომა შეეზღუდა.

ბორდერიზაციის პროცესი გაგრძელდა სოფელ ატოცში 2019 წელს. რუსეთის ფედერაციის სასაზღვრე ძალების წარმომადგენლებმა ახალი საოკუპაციო ღობე გაავლეს სოფელში 19 ოქტომბერს[43]. ბორდერიზაციის ახალი ეტაპის შედეგად, ატოცში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის მიწის ნაკვეთები, დაახლოებით 30-40 ჰექტარი ღობეებს მიღმა მოექცა. მოსახლეობას წაერთვა აღნიშნულ მიწებზე წვდომა და მისი გამოყენების შესაძლებლობა. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, ახალი ღობეების აგების შედეგად, ატოცსა და მის მოსაზღვრე ოსურ სოფელ ოქონას შორის არსებული გზიდან ე.წ. საზღვარი, დაახლოებით, სამასი

[43] http://bit.ly/37dQPDF

მეტრით არის გადმოწეული საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე[44]. ადგილობრივების ინფორმაციით, ე.წ. მესაზღვრეები ხშირად სოფლის განაპირას პატრულირებენ, ატოცელებს ბუჩქებში უსაფრდებიან და აკავებენ[45].

ატოცში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა განაცხადა, რომ არასწორია მსჯელობა, თითქოს შექმნილი მდგომარეობის შედეგად საქართველომ დამატებითი ტერიტორიები დაკარგა: „ცუდია, რომ ამბობენ, გაავლებენ ღობეს, დაკარგა სახელმწიფომ კიდევ ტერიტორიები. ეს ტერიტორიები ჩვენ 2008 წლის ომის შემდეგ დავკარგეთ. 2008-ში ხელი მოეწერა ოკუპაციის ხაზს, რომ ამ ხაზის იქით იქნებიან რუსული და ოსური მხარე, აქეთ ქართული მხარე. სადაც ღობე არ არის გადავდივართ? ვხნავთ, ვთესავთ? დაკეტილია. ღობე იქნება თუ რუსული ჯარი იდგება და არ შეგვიშვებენ, ერთი და იგივეა. სადაც ღობე არ არის, იქ გადავდივართ, შევდივართ? ვერა. დაკეტილია. რა თქმა უნდა, სამწუხაროა, რომ ღობეს ავლებენ და გამყოფ ხაზს აკეთებენ, მაგრამ ის, რომ ხელისუფლებამ კიდევ 500 მეტრი დაკარგა, არასწორია“..

შინაგან საქმეთა მინისტრის აღნიშნული განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ინფორმაციას. მინისტრის განმარტებით, ატოცში ბორდერიზაციის შედეგად საქართველოს არ დაუკარგავს დამატებითი ტერიტორია. თუმცა, აღნიშნული არ შეესაბამება ატოცში არსებულ რეალურ ვითარებას. 2019 წლის განმავლობაში რუსეთის ფედერაციის სასაზღვრე ძალების წარმომადგენლების მიერ აღმართული ღობეების მიღმა მოექცა ადგილობრივი მოსახლეობის მიწები, რომელსაც ისინი მანამდე შეუზღუდავად ამუშავებდნენ. ფაქტობრივად უზუსტოა მინისტრის განცხადება, რომ აღნიშნული ტერიტორია 2008 წლის აგვისტოს ომის კონტექსტში დაიკარგა და არ არის ბოლო წლებში მცოცავი ოკუპაციის შედეგი, რითაც რუსეთის ფედერაციამ დამატებით მიითვისა ეს ტერიტორია.

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის მიერ მხარდაჭერილი პროექტის[46] ფარგლებში, 2019 წლის აპრილში იმყოფებოდნენ ატოცში, სოფელში ბორდერიზაციის პროცესის განახლებამდე. გამყოფი ხაზის აღმნიშვნელად სოფელში რუსეთის ფედერაციის მიერ განთავსებულ ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს ბანერი, რომელზეც ქართულ და რუსულ ენებზე აღნიშნულია, რომ ტერიტორია „სახელმწიფო საზღვარს“ წარმოადგენს და „მოძრაობა აკრძალულია“. მსგავსი ბანერები რუსეთის ფედერაციის მიერ განთავსებულია სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის მიმდებარე ბევრ სოფელში. ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა სოფელში ვიზიტის დროს მოინახულეს ის ტერიტორია, სადაც ბანერია განთავსებული. ამ ტერიტორიაზე მდებარეობს ადგილობრივი მოსახლეობის მიწის ნაკვეთები. ადგილობრივი მოსახლეობისაგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, რუსეთის ფედერაციის სასაზღვრე ძალების წარმომადგენლები ბანერის მეშვეობით მონიშნული ტერიტორიის მიღმა გადმოდიოდნენ საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და აკავებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, როდესაც ისინი ამუშავებდნენ სასოფლო-სამეურნეო მიწას, რის შედეგადაც მოსახლეობამ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიწის დამუშავება შეწყვიტა, დაკავების შიშით. თუმცა, ადგილობრივების ინფორმაციით, გამყოფ ხაზთან სამოქალაქო მოძრაობის - „ძალა ერთობაშია“ - წარმომადგენლების გამოჩენის შემდეგ, რომლებიც არსებულ ტერიტორიაზე მუდმივად პატრულირებდნენ და ვიდეოაღჭურვილობის საშუალებით მეთვალყურეობდნენ ადგილზე არსებულ მდგომარეობას, სიტუაცია შეიცვალა და რუსი სამხედროები ერიდებოდნენ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლას და მოსახლეობის დაკავებას. ადგილობრივების თქმით, ამის შემდეგ მათ მიეცათ საკუთარი სასოფლო-სამეურნეო მიწების დამუშავების შესაძლებლობა. ადგილობრივი მოსახლეობის

[44] *იგივე*
[45] *იგივე*
[46] პროექტი - „2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულთა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიების მხარდაჭერა საქართველოში“.

ინფორმაციით, სამოქალაქო მოძრაობის წარმომადგენლების აქტიურობის შემდეგ სოფელში პატრულირება საქართველოს სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებმაც დაიწყეს.

2019 წლის ოქტომბერში განხორციელებული უკანონო ბორდერიზაციის შედეგად, სოფელ ატოცში გრძელდება მოსახლეობის საკუთრების უფლების შეზღუდვა კუთვნილ მიწებზე და მათთვის შემოსავლის მთავარი წყაროს წართმევა.

გამშვები პუნქტების ჩაკეტვა და ახალგორში შექმნილი ჰუმანიტარული კრიზისი

2019 წლის სექტემბრის დასაწყისში, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ჩაიკეტა ორი გამშვები პუნქტი, "რაზდახანი" და "სინაგური", რომელიც სამხრეთ ოსეთის რეგიონს აკავშირებს დანარჩენ საქართველოსთან. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო უშიშროების კომიტეტის განცხადებით, გამშვები პუნქტების ჩაკეტვის მიზეზს წარმოადგენდა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. დე ფაქტო ადმინისტრაცია ოფიციალურ თბილისს ადანაშაულებდა სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის ცალკეულ მონაკვეთებზე დაძაბულობის შექმნაში და აქედან გამომდინარე, მიუთითებდა გართულებულ ოპერატიულ მდგომარეობაზე[47].

ერთ-ერთი გამშვები პუნქტი - „რაზდახანი", რომელიც 2019 წლის სექტემბერში დაიკეტა, მდებარეობს სამხრეთ ოსეთის დაბა ახალგორსა და თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიას შორის[48]. აღნიშნული გამშვები პუნქტის ჩაკეტვა დე ფაქტო ხელისუფლებამ წნელისი-ჩორჩანის მიმართულებით შექმნილ მდგომარეობას დაუკავშირა და ამ საკითხის მოგვარებამდე უარი განაცხადა გამშვები პუნქტის გახსნაზე[49]. ახალგორში მცხოვრები მოსახლეობა ამ გადამკვეთი პუნქტით სარგებლობდა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსასვლელად და სხვადასხვა მომსახურების მისაღებად, მათ შორის, სამედიცინო სერვისების, ასევე მედიკამენტების შეძენის მიზნით და პენსიის ასაღებად. გადასასვლელის ჩაკეტვის შედეგად, ახალგორში მცხოვრებ მოსახლეობას შეეზღუდა წვდომა აღნიშნულ სერვისებზე. სამედიცინო მომსახურების მისაღებად, იშვიათი გამონაკლისების გარდა, მოსახლეობა იძულებულია, ცხინვალში წავიდეს, რომელიც ახალგორიდან შორს მდებარეობს და იქ ჩასვლა მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებთან არის დაკავშირებული. ოქტომბრის ბოლოს დაბა ახალგორის სოფელ იკოთიდან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე დე ფაქტო ძალებმა არ გამოატარეს რეანომობილი, რომელსაც ინსულტის ნიშნებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი ქალი მოჰყავდა სამედიცინო მომსახურების მისაღებად. ამის შემდეგ რეანომობილი ცხინვალისკენ გაემართა. პაციენტი ცხინვალის საავადმყოფოში გარდაიცვალა, სავარაუდოდ, სამედიცინო მომსახურების დროულად არმიღების გამო[50].

[47] https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98/30156983.html

[48] https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98/30156983.html

[49] https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98/30156983.html

[50] http://bit.ly/36e0TLm

2 დეკემბერს სამხრეთ ოსეთის უსაფრთხოების დე ფაქტო საბჭომ N119 ბრძანება გამოსცა, რომლის მიხედვითაც, ახალგორში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებსაც არ აქვთ დე ფაქტო რეგიონის ან რუსული პასპორტები, გადაუდებელი ან მაღალტექნოლოგიური სამედიცინო დახმარების მისაღებად საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლის უფლება მიეცათ იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი მომსახურების მიღება არ არის შესაძლებელი ოკუპირებულ ტერიტორიაზე[51]-[52]. თუმცა, კვლავ არის შემთხვევები, როდესაც მძიმე ავადმყოფებს არ ატარებენ გამშვებ პუნქტზე და არ აძლევენ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლის უფლებას სამედიცინო მომსახურების მისაღებად[53].

2 დეკემბერს სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული დადგენილების თანახმად, იმ პენსიონერებს, რომლებსაც პენსიას ქართული მხარე ურიცხავს და საქართველოს გარდა, სხვა მოქალაქეობა არ აქვთ, შეექმნებათ პირობები იმისა, რომ კუთვნილი პენსია მიიღონ[54]. 12 დეკემბერს გავრცელდა ინფორმაცია, რომ პენსიონერებს რაზდახანის საგუშაგოს გავლით ცხინვალის რეგიონის დატოვება და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლა 2 თვეში ერთხელ შეეძლებათ[55]. აღნიშნული ინფორმაცია ჯერჯერობით ოფიციალური წყაროების მიერ არ დადასტურებულა. ამ ეტაპზე პენსიონერების გადმოსვლის ფაქტი რაზდახანის გამშვებ პუნქტზე არ დაფიქსირებულა.

დაბა ახალგორისა და საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის დამაკავშირებელი გამშვები პუნქტის ჩაკეტვა და ახალგორში მცხოვრები მოსახლეობისათვის ჰუმანიტარულ საჭიროებებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა არღვევს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპებს.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ გაეროს საერთაშორისო პაქტის თანახმად, გადაადგილების თავისუფლება არ ექვემდებარება რაიმე შეზღუდვას, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით, აუცილებელია სახელმწიფოს უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად. სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიას შორის გამშვები პუნქტების დაკეტვა და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა არ შეესაბამება სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ კონვენციით გათვალისწინებულ არცერთ ზემოაღნიშნულ პუნქტს. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ძალების მიერ ჩორჩანა-წნელისის მონაკვეთში არსებულ დაძაბულობაზე მითითება, როგორც ახალგორის გამშვები პუნქტის ჩაკეტვის მიზეზი ვერ აიხსნება უშიშროების თუ წესრიგის დაცვის მიზეზით, რადგანაც აღნიშნული მონაკვეთები ერთმანეთისაგან მოშორებით მდებარეობს და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციამ ვერ წარმოადგინა არგუმენტები იმ კონკრეტული საფუძვლების შესახებ, რის გამოც აუცილებელი გახდა გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა გამშვები პუნქტების ჩაკეტვის გზით.

უკანონო დაკავებები

2019 წლის განმავლობაში გრძელდებოდა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გამყოფი ხაზების მიმდებარე ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სასაზღვრე ძალების წარმომადგენელი პირების მიერ ადამიანების უკანონო დაკავების ფაქტები. 2018 წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა ცენტრმა დააფიქსირა არაერთი ფაქტი, როდესაც რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ძალების

[51] http://www.tabula.ge/ge/story/160754-marionetuli-rezhimi-axalgorelebs-samedicino-daxmarebis-misaghebad-tbilisshi
[52] http://bit.ly/2umIDSL
[53] https://netgazeti.ge/news/417218/
[54] https://netgazeti.ge/news/410841/
[55] https://reginfo.ge/people/item/17430-axalgorel-pensionerebs-%E2%80%9Erazdaxanis%E2%80%9C-sagushaos-gavla-2-tveshi-ertxel-sheewlebat

წარმომადგენელი პირები ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით უკანონოდ აკავებდნენ მოქალაქეებს ისეთ ადგილებში, სადაც არ არის აღნიშნული, თუ სად გადის ე.წ. ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზი. 2018 წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა ცენტრმა დააფიქსირა არაერთი შემთხვევა, როდესაც მოსახლეობა გარკვეული ტერიტორიით სარგებლობდა ბოლო წლების განმავლობაში, მაგალითად - სასოფლო-სამეურნეო მიწით და ტყით, სადაც არ იყო ე.წ. გამყოფი ხაზის აღმნიშვნელი რაიმე ნიშანი. თუმცა, ყოვლად მოულოდნელად, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, აღნიშნულ ტერიტორიაზე დაფიქსირდა უკანონო დაკავებები[56]. ასევე, 2018 წლის განმავლობაში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც რუსი მესაზღვრეები კვეთდნენ მათ მიერ მონიშნულ გამყოფ ხაზს, მათ შორის - მავთულხლართებს, შემოდიოდნენ საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და ამ გზით აკავებდნენ ადამიანებს[57].

2019 წლის განმავლობაში გრძელდებოდა რუსი მესაზღვრეების მხრიდან ადამიანების უკანონო დაკავების ფაქტები გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე, ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით, ისეთ ადგილებში, სადაც არ არის ე.წ. ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის აღმნიშვნელი რაიმე ნიშანი. მსგავს ტერიტორიას წარმოადგენს სოფელი ახალუბანი, სადაც რუსეთის სასაზღვრე ძალების წარმომადგენლებმა 2019 წლის 17 აგვისტოს ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით 7 ადგილობრივი მოსახლე უკანონოდ დააკავეს გამყოფ ხაზთან მდებარე ეკლესიასთან[58]. სოფლის მოსახლეობის ინფორმაციით, სოფელში არ არის გამაფრთხილებელი და გამყოფი ხაზის აღმნიშვნელი რაიმე ნიშნები და ისინი დაკავების მსხვერპლი შესაძლოა, ნებისმიერ ადგილზე აღმოჩნდნენ[59]. პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის წარმომადგენლის, მურატ ჯიოევის განცხადებით, აღნიშნული პირები სამხრეთ ოსეთის დასახლებულ პუნქტ აძესარში დააკავეს ე.წ საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით[60]. მისი თქმით, ისინი ალკოჰოლური და ნარკოტიკული თრობის ქვეშ იმყოფებოდნენ და მათ პირად ნივთებში აღმოაჩინეს მცენარეული წარმოშობის ნარკოტიკული ნივთიერება[61]. თუმცა, მათ მიმართ წაყენებულ ბრალს მხოლოდ ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთა წარმოადგენდა. აღნიშნული პირები, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ძალებმა 20 აგვისტოს, ჯარიმის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს[62].

2019 წლის 11 ნოემბერს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისაგან ადამიანის უფლებათა ცენტრის წერილის პასუხად მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2019 წლის 1 იანვრიდან 1 ნოემბრის ჩათვლით, ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით დაფიქსირდა უკანონო დაკავების 71 შემთხვევა რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ, მათ შორის - 9 ქალისა და 1 არასრულწლოვანი პირის. უწყების ინფორმაციით, უკანონოდ დაკავებულთა გათავისუფლება ე.წ. ჯარიმის გადახდის შემდეგ ხორციელდება, რომელიც ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით 2000-დან (დაახლოებით 90 ლარი) 20000 რუსულ რუბლამდე (დაახლოებით 900 ლარი) მერყეობს. ხოლო, ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით, 30 000-დან (480 ლარი) 60 000 რუსულ რუბლამდე (960 ლარი). უწყების ინფორმაციით, ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით, პირთა უკანონო პატიმრობა, ძირითადად, 2-3 დღე გრძელდება. თუმცა, არსებობს შემთხვევები, როდესაც უკანონოდ დაკავებულებს, გამოგონილი ბრალდებებით, გრძელვადიან უკანონო პატიმრობაში ტოვებენ. ოკუპირებული ცხინვალისაგან განსხვავებით, ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით, უკანონოდ დაკავების პერიოდი გაცილებით

[56] გვ. 13-15, ადამიანის უფლებათა ცენტრი, „ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზებზე“: http://hridc.org/admin/editor/uploads/files/pdf/hrcrep2018/Zone%20of%20Barbed%20Wires-Report-%20geo%202019.pdf
[57] *იგივე*
[58] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19939&lang=geo
[59] *იგივე*
[60] http://www.tabula.ge/ge/story/154223-okupantebis-mier-gatacebul-pirebs-sazghvris-ukanono-kveta-edebat-bralad-jioevis
[61] *იგივე*
[62] https://www.kvirispalitra.ge/public/56365-saokupacio-rezhimis-tsarmomadgenlebma-saqarthvelos-8-moqalaqe-gaathavisufles.html

ხანგრძლივია. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით, ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით, რუსეთის საოკუპაციო ძალებმა 2019 წლის 1 იანვრიდან 1 ნოემბრის ჩათვლით 20 პირი, მათ შორის, 1 ქალი და 2 არასრულწლოვანი უკანონოდ დააკავეს.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ 2018 წელს განხორციელებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ უკანონო დაკავების დროს წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევებში დაკავებულ პირთა მიმართ რუსეთის სასაზღვრე ძალების წარმომადგენელთა მხრიდან ხშირად აქვს ადგილი ცემას, რის შედეგადაც ისინი სხვადასხვა ფიზიკურ დაზიანებას იღებენ[63], რაც არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ნიშნებს შეიცავს. ადამიანის უფლებათა ცენტრის კვლევის შედეგად, ასევე, გამოვლინდა, რომ დაკავების იზოლატორებში არის არასათანადო პირობები - უჰაერობა, სიბინძურე, ჰიგიენის საშუალებების ნაკლებობა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში საკვების არმიწოდება, უხარისხო საკვები და სხვ.

„ციხეში პირობები ძალიან ცუდია, მით უმეტეს, დაბლა კარცერში. არის უჰაერობა, ნესტი. მხოლოდ დღეში ერთხელ გაჭმევენ. სამი დღე არაფერი უჭმევიათ“, - აღნიშნავს სოფელ ბერშუეთის მცხოვრები შოთა ბიძინაშვილი, რომელიც 2019 წლის ნოემბერში დააკავეს უკანონოდ[64]. ცხინვალის იზოლატორში იგი 5 დღის განმავლობაში იმყოფებოდა.

შოთა ბიძინაშვილი სოფელ ბერშუეთის განაპირას დააკავეს. სოფელი ბერშუეთი ოკუპირებულ ტერიტორიას ესაზღვრება და აქ ხშირია ადგილობრივების უკანონო დაკავების ფაქტები. ადგილობრივ მოსახლეობას, ხშირად, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისას, საქონლის მწყემსვის დროს და ტყეში აკავებენ[65]. სოფელ ბერშუეთში ვიზიტების და ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრების შედეგად მსგავსი ფაქტები გამოავლინა ადამიანის უფლებათა ცენტრმა როგორც 2018, ასევე 2019 წელს. ადგილობრივების მიერ ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებისათვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დაკავების შიშით, ადგილობრივები ტყეში შეშის მოსაპოვებლად შესვლას ვეღარ ბედავენ.

შოთა ბიძინაშვილი საუბრობს ასევე დაკავების მომენტში ცემის ფაქტზე. მისი განცხადებით, იგი რუსეთის სასაზღვრე ძალების წარმომადგენლებს შეეწინააღმდეგა და საქართველოს ტერიტორიაზე მათ უკანონო ყოფნაზე მიუთითა, რის შემდეგაც თავში კონდახი დაარტყეს. ცხინვალის იზოლატორში ის თავის არეში დაზიანებებით მიიყვანეს. მისთვის არ მიუყვანიათ ექიმი და არ მიუციათ წამალი. შოთა ბიძინაშვილის გადმოცემით, 9 ნოემბერს მასთან საკანში უკანონოდ დაკავებული ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილი შეიყვანეს, რომელმაც ბიძინაშვილს თავზე სველი ნაჭრები დაადო[66].

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციების[67] თანახმად, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა წარმოადგენს აბსოლუტურ აკრძალვას. არ არსებობს გარემოება, რომელიც გაამართლებს მსგავს მოპყრობას. იგი ნებისმიერ შემთხვევაშის არის დაუშვებელი. მსგავსი ფაქტები სათანადოდ უნდა გამოიძიონ კონვენციების მონაწილე სახელმწიფოებმა და დამნაშავე პირები მისცენ პასუხისგებაში. რუსეთის ფედერაცია, რომელიც

[63] ადამიანის უფლებათა ცენტრი, „ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზებზე“: http://hridc.org/admin/editor/uploads/files/pdf/hrcrep2018/Zone%20of%20Barbed%20Wires-Report-%20geo%202019.pdf

[64] https://netgazeti.ge/news/407156/

[65] https://www.radiotavisupleba.ge/a/dakaveba-bershuettan/26634779.html

[66] http://bit.ly/37caT9v

[67] სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ გაეროს საერთაშორისო პაქტი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენცია.

ეფექტურ კონტროლს ახორციელებს სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებულ რეგიონზე[68] და რომლის წარმომადგენლების მიერ ხორციელდება სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტები უკანონოდ დაკავებული პირების მიმართ, ვალდებულია, ეფექტური გამოძიება აწარმოოს აღნიშნულ ფაქტებზე და დამნაშავე პირები მისცეს პასუხისგებაში. აღნიშნულ ვალდებულებას რუსეთის ფედერაცია დღემდე არ ასრულებს.

ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის უკანონო დაკავება

2019 წლის 9 ნოემბერს რუსეთის სასაზღვრე ძალების წარმომადგენლებმა ახალგორის გამყოფ ხაზთან დააკავეს ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილი, საქართველოს ორთოპედიისა და ტრავმატოლოგიის ასოციაციის პრეზიდენტი. ოჯახის წევრების ვარაუდით, ექიმი ახალგორში მიდიოდა იქ მყოფი პაციენტების სამკურნალოდ, რომლებსაც გამშვები პუნქტის ჩაკეტვის გამო შეზღუდული ჰქონდათ სამედიცინო დახმარება[69]. ექიმს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით შეუფარდეს[70]. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ადმინისტრაციამ, ასევე, გაავრცელა ინფორმაცია, რომ ექიმი 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილეობდა და მსახურობდა როგორც სამხედრო-სამედიცინო სამსახურის თადარიგის კაპიტანი[71]. თუმცა, ექიმის ოჯახის წევრები და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები უარყოფენ ამ ინფორმაციას. მათი განცხადებით, აგვისტოს ომის დროს ექიმი თბილისში მოქმედ ერთ-ერთ კლინიკაში მუშაობდა და ომის დროს დაჭრილ პაციენტებს მკურნალობდა.

20 დეკემბერს ცხინვალის დე ფაქტო სასამართლომ ვაჟა გაფრინდაშვილი დამნაშავედ სცნო „სახელმწიფო საზღვრის განზრახ უკანონო გადაკვეთაში“ და სასჯელის სახით ერთი წლით და 9 თვით პატიმრობა მიუსაჯა დახურულ სასამართლო სხდომაზე[72]. ვაჟა გაფრინდაშვილმა აღნიშნული ბრალდება არ აღიარა. იგი არ მიიჩნევს სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზს სახელმწიფო საზღვრად. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ 2018 წელს შესწავლილი საქმეებიდან გამოიკვეთა, რომ ე.წ. „საზღვრის უკანონო გადაკვეთის“ ბრალდების შემთხვევებში, დე ფაქტო ორგანოები ბრალდებულ პირებს, ძირითადად, ჯარიმას უსჯიან და უკანონო დაკავებიდან რამდენიმე დღეში ათავისუფლებენ, თუ სახეზე არ არის მათ მიმართ სხვა ბრალდება, მაგალითად, რუსეთის სასაზღვრე ძალების წარმომადგენელი ან დე ფაქტო სამართალდამცავი პირების მიმართ „წინააღმდეგობის გაწევა“ ან სხვა სისხლის სამართლის დანაშაული[73]. დე ფაქტო ორგანოებს ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის მიმართ სხვა ბრალდება, გარდა ე.წ. „საზღვრის უკანონო გადაკვეთისა“, არ წაუყენებიათ. შესაბამისად, სავარაუდოდ, სწორედ „საზღვრის უკანონო გადაკვეთის“ ბრალდების არაღიარების გამო მიესაჯა მას სხვა შემთხვევებისაგან განსხვავებული მაღალი სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით.

უკანონოდ დაკავებული ექიმი, ვაჟა გაფრინდაშვილი 2019 წლის 28 დეკემბერს გაათავისუფლეს. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ადგილობრივი მედიის ცნობით, ექიმი დე ფაქტო

---

[68] ადამიანის უფლებათა ცენტრი, „ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზებზე“: http://hridc.org/admin/editor/uploads/files/pdf/hrcrep2018/Zone%20of%20Barbed%20Wires-Report-%20geo%202019.pdf

[69] https://www.radiotavisupleba.ge/a/30277805.html

[70] https://www.radiotavisupleba.ge/a/30277805.html

[71] https://www.interpressnews.ge/ka/article/573490-ecsamxret-osetis-de-pakto-kgb-vazha-gaprindashvili-rogorc-samxedro-ekimi-aktiur-monacileobas-igebda-2008-clis-agvistos-movlenebshi/

[72] https://reginfo.ge/human-rights/item/17469-eqim-vaja-gaprindashvils-zxinvalshi-1-xlit-da-9-tvit-patimroba-miusajes

[73] ადამიანის უფლებათა ცენტრი, „ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზებზე“: http://hridc.org/admin/editor/uploads/files/pdf/hrcrep2018/Zone%20of%20Barbed%20Wires-Report-%20geo%202019.pdf

რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ანატოლი ბიბილოვმა შეიწყალა[74]. ვაჟა გაფრინდაშვილის განცხადებით, მან 27 დეკემბერს დაწერა შეწყალების თხოვნა, თუმცა მის მიმართ წაყენებული ბრალი არ უღიარებია[75].

ირაკლი კვარაცხელიას გარდაცვალება

2019 წლის 12 მარტს, რუსეთის მიერ ოკუპირებულ გალის რაიონში საქართველოს მოქალაქე ირაკლი კვარაცხელიამ სავარაუდოდ თავი მოიკლა. აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის ინფორმაციით, ირაკლი კვარაცხელიამ „უკანონოდ გადმოკვეთა აფხაზეთის სახელმწიფო საზღვარი“ და იგი 10 მარტს დააკავეს რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამმართველოს თანამშრომლებმა. დე ფაქტო უწყების ინფორმაციით, „ის გადაყვანილი იყო სასაზღვრო სამმართველოს დანაყოფში. ოთახში მარტო ყოფნისას მან თავი ჩამოიხრჩო. ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს“[76].

ირაკლი კვარაცხელიას ნახევარძმის, პაატა უზარაშვილის განცხადებით, რომელმაც გარდაცვლილის ცხედარი დაათვალიერა, გარდაცვლილს სხეულზე აღენიშნებოდა მრავლობითი სილურჯეები, დაბეჟილობები და ნახეთქი ჭრილობა[77]. პაატა უზარაშვილის განცხადებით, ირაკლი კვარაცხელია ხურჩა-ნაბაკევის გადასასვლელთან დააკავეს, როცა იგი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ზუგდიდში გადმოსვლას ცდილობდა[78].

აფხაზეთის რეგიონზე ეფექტურ კონტროლს სამხედრო, პოლიტიკური და ფინანსური თვალსაზრისით, ახორციელებს რუსეთის ფედერაცია, შესაბამისად, აღნიშნულ რეგიონში სიცოცხლის უფლების დაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებები, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად, მას ეკისრება. რუსეთის ფედერაცია ვალდებულია წარმოადგინოს სარწმუნო განმარტებები იმ სავარაუდო მრავლობით დაზიანებებთან დაკავშირებით, რომელიც გარდაცვლილს სხეულზე აღენიშნებოდა და სრულფასოვნად გამოიძიოს, ხომ არ ჰქონდა ადგილი მის თვითმკვლელობამდე მიყვანას. ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნას განმარტებები, შემოწმდა თუ არა მისი ფსიქიკური მდგომარეობა დაკავების პირობებში, შეფასდა თუ არა თვითმკვლელობის რისკი და გატარდა თუ არა პრენვეციული ღონისძიებები აღნიშნული რისკის შესამცირებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2018 წელს მიმართა რუსეთის გენერალურ პროკურატურას, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზებზე დაფიქსირებულ უფლებადარღვევებთან დაკავშირებით, მათ შორის, სიცოცხლის უფლების ხელყოფის, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვისა და უკანონო დაკავების ფაქტებთან დაკავშირებით და მოითხოვა ინფორმაცია აღნიშნული ფაქტების გამოძიების შესახებ. რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ ადამიანის უფლებათა ცენტრის აღნიშნულ წერილს არ უპასუხა. ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2018 წელს ასევე მიმართა რუსეთის უსაფრთხოების ფედერალურ სამსახურს და ამ უწყებისაგან გამოითხოვა ინფორმაცია, თუ რა საფუძვლით ახორციელებენ მისი წარმომადგენლები დაკავებებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ე.წ. გამყოფ ხაზებზე, ასევე, ვისი დაკავება ხორციელდება და კონკრეტულად რა საფუძვლით. რუსეთის უსაფრთხოების

[74] http://bit.ly/30EpGHn
[75] http://bit.ly/2RyD0Jo
[76] http://bit.ly/37du8iU
[77] http://bit.ly/2R9m2lE
[78] *იგივე*

ფედერალური სამსახურისაგან მიღებული ოფიციალური პასუხის თანახმად, მათ არ მოეპოვებათ აღნიშნული ინფორმაცია, რადგანაც აღნიშნული საკითხები არ მიეკუთვნება მათ კომპეტენციას.

საოკუპაციო ხაზთან მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწების რეგისტრაცია

სოფელი დიცი

სოფელი დიცი გორის მუნიციპალიტეტში, სამხრეთ ოსეთის გამყოფ/საოკუპაციო ხაზთან მდებარეობს. სოფელი დიცის ნაწილში რუსეთის ფედერაციის სასაზღვრე ძალების წარმომადგენლებმა 2013 წელს გააბეს მავთულხლართები. მათ რკინის ბოძები ჩაასვეს საქართველოს მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის დაახლოებით 120 მეტრის სიღრმეში, რის შედეგადაც ადგილობრივებმა თავიანთი სასოფლო–სამეურნეო მიწები დაკარგეს[79].

2018 წლის 29 მარტს ადამიანის უფლებათა ცენტრის შიდა ქართლის ოფისს მიმართა გორის რაიონის სოფელ დიცში (ბერულა) მცხოვრებმა ი.ბ.-მ, რომელიც ფლობს და ამუშავებს საოკუპაციო ხაზთან მდებარე მიწის ნაკვეთს. აღნიშნული ნაკვეთის ერთი ნაწილი ი.ბ.-მ საჯარო რეესტრში დაარეგისტრირა უპრობლემოდ. ხოლო მეორე ნაწილის დარეგისტრირებაზე უარი მიიღო იმ მოტივით, რომ მიწა არის ოკუპირებული. თუმცა, ფაქტობრივი მდგომარეობით, მიწა არ არის ოკუპირებული, მდებარეობს საოკუპაციო ზოლსა და ბანერს აქეთ, საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. ი.ბ.-ს არ ექმნება არავითარი პრობლემა მის მოვლასა და დამუშავებაში. რეესტრს წარედგინა ყველა საჭირო დოკუმენტი, მაგრამ - უშედეგოდ. ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტმა ი.ბ.-ს გაუწია იურიდიული დახმარება და შედგა ადმინისტრაციული სარჩელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ აქტების ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალდებულების მოთხოვნით.

2018 წლის 25 აპრილს გამართულ მოსამზადებელ სხდომაზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა წარმოადგინა გაურკვეველი წარმოშობის რუკა, რომელზეც დაფიქსირებული იყო სარეგისტრაციო ზონა (საზღვარი). თუმცა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა ვერ განმარტა, თუ რის საფუძველზე იყო ეს რუკა შედგენილი, ვის მიერ და როდის. აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გასაცემად და დამატებითი დოკუმენტაციის წარმოსადგენად სხდომა გადაიდო 16 მაისისთვის. 2018 წლის 16 მაისს გორის რაიონულმა სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა და დაავალა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს სადავო მიწის ნაკვეთის ილია ბერუაშვილის საკუთრებაში რეგისტრაცია. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საჩივარი, ძალაში დატოვა გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დაევალა სააგენტოს საოკუპაციო ხაზთან მდებარე მიწის ნაკვეთის ილია ბერუაშვილის საკუთრებაში დარეგისტრირება. საჯარო რეეტრის ეროვნულმა სააგენტომ აღარ გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება. შესაბამისად, ძალაში დარჩა გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა ილია ბერუაშვილის სარჩელი, გაუქმდა რეესტრის გადაწყვეტილებები და მასვე დაევალა სოფელ დიცში (ბერულა) მდებარე იმ მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია, რომელიც რეესტრმა მიიჩნია ოკუპირებულად.

[79] https://old.civil.ge/geo/article.php?id=26984

სოფელი ახრისი

სოფელი ახრისი გორის მუნიციპალიტეტში, გამყოფ ხაზთან მდებარეობს. სოფელ ახრისში 2012 წელს განხორციელებული განგრძობადი ბორდერიზაციის შედეგად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოექცა ადამიანის უფლებათა ცენტრის ბენეფიციარის, გ.ხ.-ს მიწის ნაკვეთი. გ.ხ.-ს წაერთვა შესაძლებლობა, ისარგებლოს აღნიშნული მიწის ნაკვეთით და მიიღოს ეკონომიკური სარგებელი. მიუხედავად ამისა, ყოველწლიურად შემოსავლების სამსახური ყადაღას ადებს მითითებულ ქონებას და უწევს ყოველ ჯერზე განცხადების დაწერა, რომ მიწის ნაკვეთი ოკუპირებულია და არ ექვემდებარება დაბეგვრას. არაერთხელ მიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დახმარების თხოვნით, თუმცა - უშედეგოდ.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვის შედეგად, ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭომ შემოსავლების სამსახურს დაავალა, ხელახლა განეხილა გ.ხ.-ს საჩივარი ოკუპირებულ მიწის ნაკვეთზე დარიცხული ქონების გადასახადის მოხსნის თაობაზე, შემოსავლების სამსახურმა ხელახლა განიხილა საჩივარი და მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც გ.ხ. სრულად გათავისუფლდა დარიცხული ქონების გადასახადისაგან.

გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები

2019 წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა ვიზიტები განახორციელეს და მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები გამოავლინეს გორის მუნიციპალიტეტში, გამყოფი ხაზის ხაზის მიმდებარე შემდეგ სოფლებში - ციცაგიანთკარი, ჯარიაშენი და გუგუტიანთკარი.

სოფელ ციცაგიანთკარში, ადგილობრივი მოსახლეობისაგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, სოფლის ნაწილს არასრულყოფილად მიეწოდება სასმელი წყალი. ასევე, პრობლემას წარმოადგენს სოფელში ამბულატორიის არარსებობა. სოფლის მოსახლეობას უწევს მეზობელ სოფელში, 2-3 კმ-ით დაშორებულ ახრისში გადასვლა სამედიცინო დახმარების მისაღებად. ადგილობრივების ინფორმაციით, ადგილობრივი მუნიციპალიტეტი სოფლის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ფინანსური რესურსებით დაპირდა მოსახლეობას ამბულატორიის დადგმას. ასევე, ადგილობრივების ინფორმაციით, სოფელ ციცაგიანთკარში არ იგზავნება კომბაინი მოსავლის ასაღებად, რადგანაც მცირე ფართობებზე უთესიათ მარცვლეული კულტურა (ქერი), რის შედეგად ვერ იღებენ მოსავალს და ადგებათ მატერიალური ზიანი. ამ კუთხით მოსახლეობა არავითარ დახმარებას არ იღებს ადგილობრივი ხელისუფლებისაგან.

სოფელ ჯარიაშენში რუსეთის სასაზღვრე ძალების მიერ განხორციელებული ბორდერიზაციის შედეგად, კერძოდ, მათ მიერ აღმართული ბანერის მიმდებარე ტერიტორიაზე ხნულების გავლების შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობის კუთვნილი დაახლოებით 30 ჰექტარი მიწის ნაკვეთი მოექცა საოკუპაციო ხაზს მიღმა და მოსახლეობას წაერთვა მისი დამუშავებისა და მოსავლის მიღების შესაძლებლობა. სოფელში ასევე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სოფლამდე მისასვლელი დაზიანებული გზა, რომელიც საჭიროებს რეაბილიტაციას.

მითითებულ სოფლებში განსაკუთრებით მწვავედ დგას უსაფრთხოების პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ სოფლები გამყოფი ხაზის მიმდებარედ მდებარეობს, ადგილზე არ პატრულირებდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები. ციცაგინათკარში სარწყავი არხი წარმოადგენდა ე.წ. გამყოფ ხაზს, ახრისსა და ჯარიაშენში ბანერებთან ერთად მოხნული იყო მიწის

ის მონაკვეთი, რომელსაც ოკუპანტები საკუთარ კონტროლირებად ტერიტორიად მიიჩნევდნენ. მოსახლეობის ინფორმაციით, სამივე სოფელში ადგილი აქვს ადამიანების უკანონო დაკავების ფაქტებს.

გუგუტიანთკარში კვლავ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს დაბინძურებული სასმელი წყალი. ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2018 წელს განხორციელებული ადვოკატირების შედეგად, გორის მერიისგან მიიღო პირობა, რომ გამოცვლიდნენ არსებულ რეზერვუარს. თუმცა, 2019 წლის ივლისში იგივე მდგომარეობა დაგვხვდა ადგილზე.

2019 წლის 11 ნოემბერს მივმართეთ გორის მუნიციპალიტეტის მერიას და ვითხოვეთ ინფორმაცია საოკუპაციო ხაზთან მდებარე სხვადასხვა სოფლებში (გუგუტიანთკარი, ზარდიაანთკარი, ბერშუეთი, კირბალი, ჯარიაშენი, ციცაგიანთკარი) არსებული პრობლემების თაობაზე, მათ შორის, იმ სოფლებში, სადაც ვიზიტები განახორციელა ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2018 წლის განმავლობაში. ადამიანის უფლებათა ცენტრის ინტერესის საგანს წარმოადგენდა, გადაჭრა თუ არა ადგილობრივმა ხელისუფლებამ ადგილობრივები მოსახლეობის საჭიროებები და რა იგეგმებოდა ამ მიმართულებით.

2019 წლის 21 ნოემბერს გორის მუნიციპალიტეტის მერიისაგან მიღებული პასუხის თანახმად, 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სოფელ ციცაგიაანთკარში იგეგმება კოტეჯის შეძენა ამბულატორიის განსათავსებლად და მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები ტენდერის გამოსაცხადებლად. ამავე სოფელში წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო საპროექტო დოკუმენტაცია მომზადდა და მიმდინარეობს ექსპერტიზა. ასევე, მიღებული ინფორმაციის თანახმად, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ეტაპობრივად მიმდინარეობს წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოები. 2020 წლისთვის მერიას დაგეგმილი აქვს კირბალი-ბერშუეთის გზის რეაბილიტაცია და სოფელ კირბალში საუბნო სარწყავი არხების მოწყობა.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიება

2019 წლის განმავლობაში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებული გამოძიების კუთხით მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენდა 2019 წლის დეკემბერში, ჰააგაში, რომის სტატუტის წევრ სახელმწიფოთა ასამბლეაზე პროკურორ ფატუ ბენსუდას განცხადება, რომლის თანახმადაც, საქართველოს სიტუაციის გამოძიებას თან ახლავს არაერთი გამოწვევა, მათ შორის - ომის შემდეგ გასული ხანგრძლივი პერიოდი და რუსეთის უარი სასამართლოსთან თანამშრომლობაზე. ამის მიუხედავად, ბენსუდას განცხადებით, გამოძიება აქტიურ ფაზაშია შესული და შესაძლოა, უახლოეს პერიოდში გარკვეულ შედეგებამდე მივიდეს[80].

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან არსებულმა დაზარალებულთა ნდობის ფონდმა 2019 წელს მხარი დაუჭირა დაზარალებულ პირთა მდგომარეობის შეფასებას საქართველოში, რის საფუძველზეც 2020 წლის მაისში ფონდის საბჭო გადაწყვეტს საქართველოში ომის შედეგად დაზარალებულთა დახმარების მიზნით კონკრეტული მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების საჭიროების საკითხს.

[80] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=20010&lang=geo

საქართველოში აგრძელებს ფუნქციონირებას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ადგილობრივი ოფისი. ოფისის ახორციელებს ცნობიერების ამაღლებისა და საინფორმაციო ხასიათის სხვადასხვა აქტივობებს, მათ შორის - დაზარალებულთა თემებთან და ფართო საზოგადოებასთან. მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი ოფისი უკეთ იყოს აღჭურვილი სათანადო ადამიანური და ფინანსური რესურსებით, რათა ამ კუთხით იყოს უფრო აქტიური და ეფექტური. წლის განმავლობაში ოფისის მიერ გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელშიც მონაწილეობდნენ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქართველოს კოალიციის წევრი ორგანიზაციები[81].

2019 წლის მაისში, საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დელეგაცია, მათ შორის: რეგისტრის, საჯარო ინფორმაციისა და აუთრიჩის სექციის, დაზარალებულთა მონაწილეობისა და რეპარაციის სექციის, პროკურორის ოფისისა და დაზარალებულთა ნდობის ფონდის წარმომადგენლები. დელეგაციის წარმომადგენლებმა საინფორმაციო შეხვედრები გამართეს დევნილთა ორ დასახლებაში - შავშვებსა და ფრეზეთში. აღნიშნულ შეხვედრებში მონაწილეობდნენ ადამიანის უფლებათა ცენტრისა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქართველოს კოალიციის სხვა წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლები. დელეგაციის წარმომადგენლებმა დაზარალებულებს მიაწოდეს ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე გამოძიების, ასევე მათი უფლებების შესახებ და უპასუხეს მათ შეკითხვებს. დაზარალებულთა მონაწილეობისა და რეპარაციის სექციის წარმომადგენლებმა გამართეს ტრენინგი იურისტებისათვის დაზარალებულთა უფლებებთან და იურიდიულ წარმომადგენლობასთან დაკავშირებით.

2019 წლის 20-24 მაისს, ჰააგაში, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ყოველწლიური სტრატეგიული მრგვალი მაგიდის შეხვედრები გაიმართა. საქართველოდან შეხვედრებს ესწრებოდნენ ადამიანის უფლებათა ცენტრის, „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“, „საერთაშორისო სამართლიანობის“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის (GCRT) წარმომადგენლები. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ისაუბრეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ საქართველოში მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე და მოუწოდეს პროკურატურის ორგანოს წარმომადგენლებს, გამოძიების ფარგლებში ყურადღება გამახვილდეს ომის დროს ჩადენილ ყველაზე მასშტაბურ და მძიმე დანაშაულებზე, მათ შორის, ქართველი მოსახლეობის ეთნიკურ წმენდაზე. ამავდროულად არასამთავრობო ორგანიზაციებმა ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ ეთნიკურად ქართველების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების მასშტაბურობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, სასამართლოს პროკურორის ოფისმა ყველაზე მაღალი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის დადგენა შეძლოს. შეხვედრის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა ასევე საქართველოში გამოძიების წარმატების მნიშვნელობაზე აფრიკის გარეთ რეგიონებისთვის, ვინაიდან საქართველოს სიტუაცია სასამართლოსთვის პირველი არა-აფრიკული გამოძიებაა, რომელსაც ზეგავლენა ექნება სასამართლოს მიმართ საზოგადოებაში სამომავლო მხარდაჭერის, ნდობისა და ცნობიერების ამაღლების კუთხით[82].

ადამიანის უფლებათა ცენტრი 2019 წლის განმავლობაში აგრძელებდა ადვოკატირებას 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულ პირთა უფლებების დაცვისა და ეროვნულ დონეზე გამოძიების გაგრძელების მიზნით. 2019 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვის შედეგად

[81] ადამიანის უფლებათა ცენტრი, ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი, კონსტიტუციის 42-ე მუხლი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო მართლმსაჯულება და წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი (GCRT)

[82] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19877&lang=geo

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ დაზარალებულის სტატუსი მიანიჭა 7 მოქალაქეს და გამოიტანა შესაბამისი დადგენილება. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვების შედეგად ბოლო სამი წლის განმავლობაში გენერალურმა პროკურატურამ დაზარალებულის სტატუსი მიანიჭა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაზარალებულ 49 პირს.

რეკომენდაციები

რუსეთის ხელისუფლებას და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ძალებს:

- დაუყოვნებლივ გახსნას ახალგორისა და დანარჩენი საქართველოს დამაკავშირებელი გამშვები პუნქტი „რაზდახანი“;
- დაბა ახალგორში შესვლის ნება დართონ საერთაშორისო მონიტორინგის მისიებსა და ჰუმანიტარული დახმარების მიმწოდებელ ორგანიზაციებს.

რუსეთის ხელისუფლებას:

- შეწყვიტოს უკანონო ბორდერიზაცია და ადამიანთა უფლებების მასობრივი დარღვევები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზებზე;
- შეწყვიტოს საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია, პატივი სცეს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

საქართველოს ხელისუფლებას:

- გამოიყენოს ყველა შესაძლო დიპლომატიური და საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმი რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის დასრულების და გამყოფ ხაზებზე ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევების შესაჩერებლად;
- გააააქტიუროს პატრულირება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის გამყოფი ხაზების გასწვრივ მდებარე იმ სოფლებში, სადაც ფიქსირდება თავისუფლების უკანონო აღკვეთის და ბორდერიზაციის ფაქტები;
- განახორციელოს მოსახლეობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შესაბამისი საინფორმაციო და საგანმანათლებლო საქმიანობა გამყოფი ხაზის მიმდებარე მაღალი რისკის ადგილებში.

საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საზოგადოებას:

- გააააქტიურონ ძალისხმევა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უფლებების მასობრივი დარღვევის წინააღმდეგ საბრძოლველად და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მათი წარმომადგენლობის სადამკვირვებლო საქმიანობის განსახორციელებლად.